



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

16 ივლისი 2018 წელი
თბილისი

ქ.

დისციპლინური საქმე №208/17

-- -- 2017 წლის 24 ნოემბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად 2018 წლის 30 აპრილს მომზადებული №208/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ სასამართლომ 2018 წლის 25 სექტემბერს მიიღო განჩინება საქმის განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ, რომელიც მოსარჩელებს გაეგზავნათ 2017

წლის 09 ოქტომბერს. აღნიშნული განჩინების მხარეთათვის დაგვიანებით გადაგზავნა მიუთითებს მისი ძველი თარიღით დაწერაზე. განჩინებაში მოსამართლემ მიუთითა იმ ხარვეზებზე, რომლებიც 2017 წლის 04 სექტემბრის ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინებაში არ იყო აღწერილი. ამასთან, სასამართლომ არ დააკმაყოფილა მხარის მოთხოვნა ბაჟისგან გათავისუფლების თაობაზე და მოთხოვნის ამ ნაწილში შეწყვიტა წარმოება. საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსამართლე 5 თვის მანძილზე ადგენდა ხარვეზს სარჩელზე.

საჩივრის ავტორის ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ შტრიხკოდის ნომრით სასამართლო აქტების ელექტრონულ ბაზაში სხვა საქმის მასალების მოძიების შესაძლებლობასაც იძლეოდა.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2017 წლის 29 აგვისტოს -- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა -- --, -- --, -- --, -- --, -- --, -- --, -- --, -- --, -- --, -- --, -- --, -- --, -- --, -- --, -- --, -- --, -- --, -- --, -- --, -- -- და -- -- წარმომადგენელმა, მოპასუხე სს -- --", საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ და მოითხოვა ზიანის ანაზღაურება და სარჩოს დაკისრება.

-- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 04 სექტემბრის განჩინებით (მოსამართლე-- --) მოსარჩელეებს სარჩელზე დაუდგინდა ხარვეზი და განესაზღვრათ 10 დღიანი ვადა მის შესავსებად. კერძოდ, დაევალათ, დაზუსტებული სასარჩელო განცხადების (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებულ ფორმაში), წარდგენა სასამართლოში სადაც ცალ - ცალკე, გარკვევით და ნათლად, იქნებოდა ჩამოყალიბებული, თითოეული მოპასუხის მიმართ მოსარჩელეთა მოთხოვნები და მათი სამართლებრივი საფუძვლები. ამასთან, სარჩელს ხელს აწერდა -- --, როგორც -- --, -- -- და -- -- წარმომადგენელი, თუმცა მათ მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად გაცემული რწმუნებულება საქმეს არ ერთვოდა, შესაბამისად წარსადგენი იყო -- --, -- -- და -- -- მიერ -- -- წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტი, ან -- --, -- -- და -- -- მიერ ხელმოწერილი სასარჩელო განცხადება. ამასთან, მოსარჩელედ მითითებული იყო „-- --", თუმცა სასარჩელო მოთხოვნებში მითითებული იყო „-- --", სასამართლომ განმარტა, რომ დასაზუსტებელი იყო მოსარჩელე მხარეს წარმოადგენდა -- -- თუ -- --, შესაბამისად, ხარვეზის შევსების მიზნით წარდგენილ დაზუსტებულ სარჩელში უნდა მომხდარიყო მოსარჩელის სახელისა და გვარის დაზუსტება.

ასევე, სატრანსპორტო საშუალების (სარკინიგზო ტრანსპორტის) ექსპლუატაციით გამოწვეული შემთხვევის გამო ადამიანების სიკვდილით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში მოსარჩელებს დაევალოთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის (დედანი) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39.1. „ა“ მუხლით დადგენილი ოდენობის შესაბამისად სასამართლოში წარდგენა. ამასთან, მოსარჩელებს განემარტათ, რომ ვინაიდან მათ გააჩნდათ დამოუკიდებელი მოთხოვნები მოპასუხეთა მიმართ, სახელმწიფო ბაჟს გადაიხდიდნენ თითოეული მოსარჩელე მოთხოვნიდან გამომდინარე დამოუკიდებლად.

2017 წლის 19 სექტემბერს -- საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებით მიმართა -- --. განცხადებას მხარემ დაზუსტებული სარჩელი დაურთო. სადაც გაითვალისწინა სასამართლოს შენიშვნები, კერძოდ: თითოეულ მოთხოვნასთან მიმართებაში აღნიშნული იყო მოპასუხეები. სარჩელს პირადად ხელს აწერდნენ -- --, -- -- და -- --, რწმუნებულების გარეშე. მოსარჩელე იყო -- --, სარჩელის მე-3 მოთხოვნაზე (სიკვდილით გამოწვეული მორალური ზიანის ანაზღაურება), თითოეული მოსარჩელე მოითხოვდა 4000 ლარამდე და შესაბამისად, თითოეულის მიერ გადასახდელი ბაჟი შეადგენდა 120 ლარს. მოსარჩელებმა მოითხოვეს სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება, ხოლო იმ შემთხვევაში თუ სასამართლო უარს იტყოდა სახელმწიფო ბაჟის გადავადებაზე, მაშინ მოითხოვეს ამ მოთხოვნის ნაწილში წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების მიღება. სარჩელის მე-5 მოთხოვნაზე მოსარჩელები განმარტავდნენ, რომ მოთხოვნა გათავისუფლებული იყო ბაჟის გადახდისაგან, რადგან ამ კონკრეტულ შემთხვევაში დაკრძალვის ხარჯები წარმოადგენდა დანაშაულით გამოწვეულ და მიყენებულ მატერიალურ ზიანს, რომელიც ცალკე ჰქონდათ გამოყოფილი მოსარჩელებს. განცხადება ხელმოწერილი იყო -- -- მიერ.

-- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 25 სექტემბრის განჩინებით (მოსამართლე -- --) გაგრძელდა მოსარჩელებისათვის სარჩელზე ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა და განისაზღვრა 10 დღით. მოსარჩელებს დაევალოთ, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის (სარჩელის აღძვრის უფლებამოსილების მითითებით) წარდგენა სასამართლოში, მოპასუხედ დასახელებული ადმინისტრაციული ორგანოების - 1) საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 3) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 4) აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობის - მიმართ, სასარჩელო მოთხოვნების დაზუსტება ადმინისტრაციულ კანონმდებლობაზე მითითებით. კერძოდ, მოპასუხედ დასახელებული ადმინისტრაციული ორგანოების (თითოეული ცალცალკე) კონკრეტულად რომელმა დანაშაულებრივმა ქმედებამ (მოქმედება, უმოქმედობა) გამოიწვია ზიანი. ასევე, მოსარჩელებს

დაევალებათ აღნიშნული ქმედებების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულების წარდგენა. ამასთან, მოსარჩელეებს დაევალებათ (23 ფიზიკური პირი) სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის (დედანი) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39.1 „ა“ მუხლით დადგენილი ოდენობის შესაბამისად სასამართლოში წარდგენა, ან/და შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენა, რომელთა საფუძველზეც სასამართლო იმსჯელებდა მოსარჩელეთა (23 ფიზიკური პირის) სახელმწიფო ბაჟის გადავადების ან/და გათავისუფლების თაობაზე (თითოეულის მიმართ ცალცალკე).

2017 წლის 19 ოქტომბერს, მოსარჩელეთა მიერ ხარვეზის შევსების მიზნით წარდგენილ იქნა განცხადება და დაზუსტებული სარჩელი, სადაც არ იყო დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნა თითოეული ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ. ამასთან არ იყო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი და ასევე არ იყო წარდგენილი რაიმე მტკიცებულება მოსარჩელეთათვის (23 ფიზიკური) სახელმწიფო ბაჟის გადავადების ან გათავისუფლებაზე სასამართლო მსჯელობის მიზნით. ხოლო რაც შეეხება -- -- წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, განცხადებას თან ერთვოდა დაზუსტებული სარჩელი, რასაც ხელს აწერდნენ მოსარჩელები პირადად.

-- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით (მოსამართლე -- --) მოსარჩელებს უარი ეთქვათ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე იმ საფუძველით, რომ სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი მხარის მიერ არ იქნა შევსებული სრულად.

3. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული

კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 64-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა, თუ კანონით სხვა რამ არის დადგენილი, სასამართლომ შეიძლება გააგრძელოს მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით. ამდენად, მოსამართლე შესაბამისი განჩინებების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 447-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილში ან/და 178-ე მუხლში (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილისა, თუ მოსარჩელეს მითითებული აქვს მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზი) მითითებული პირობების დარღვევით ან/და არ არის წარდგენილი სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების იმდენი ასლი, რამდენიც მოპასუხეა, ან/და სარჩელს არ ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, სასამართლო გამოიტანს ხარვეზის შესახებ განჩინებას და მოსარჩელეს დაუნიშნავს ვადას მის შესავსებად. თუ მოსარჩელე დანიშნულ ვადაში შეავსებს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და მოსარჩელისათვის მისი დაბრუნების შესახებ, რაზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. ასეთი განჩინების გამოტანის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟი მთლიანად უნდა დაბრუნდეს.

დადგენილია, რომ 2017 წლის 25 ოქტომბრის განჩინებით მოსამართლემ მიიჩნია, რომ ხარვეზის შევსების შედეგად წარდგენილ სარჩელში არ იყო გამოსწორებული სასამართლოს მიერ განსაზღვრული ყველა ხარვეზი. ამასთან, წარდგენილი ახალი სარჩელი შეიცავდა დამატებით განსხვავებულ ხარვეზებს. ამდენად, მოსამართლის მიერ ახალი ხარვეზის

მითითება დაზუსტებული სარჩელის წარდგენიდან მომდინარეობდა. შესაბამისად, მოსამართლემ მიზანშეწონილად მიიჩნია საქმეზე, განსაზღვრული ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძელება 10 დღით.

მნიშვნელოვანია, რომ ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძელების შესახებ განჩინების მხარისათვის გაგზავნის რაიმე ვადას სამოქალაქო საპროცესო კოდექსი პირდაპირი წესით არ აწესებს. ამასთან, განჩინებით დადგენილი ვადის ათვლა იწყება მისი მხარისათვის ჩაბარებიდან. მხოლოდ ის გარემოება, რომ მხარეს 25 სექტემბრის განჩინება გაეგზავნა 09 ოქტომბერს არ ქმნის იმის ვარაუდის საფუძველს, რომ განჩინება დაიწერა გვიანი თარიღით.

რაც შეეხება საჩივრის ავტორის მითითებას, იმის თაობაზე, რომ მოსამართლემ ბაჟისგან გათავისუფლების მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და იმის ნაცვლად, რომ ბაჟის გადასახდელი მოთხოვნის ნაწილში შეეწყვიტა წარმოება, გააგრძელა ხარვეზის შევსების საპროცესო ვადა, აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ 25 სექტემბრის განჩინებაში სასამართლომ აღნიშნა, რომ არ იყო წარდგენილი უტყუარი მტკიცებულება, რის საფუძველზეც სასამართლოს შეიძლება გაეთავისუფლებინა ან/და სახელმწიფო ბაჟის გადახდა გადაევადებინა მოსარჩელეთათვის (23 ფიზიკური პირის) რის გამოც უარი უთხრა მხარეს აღნიშნული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, მისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასებების შედეგად, გამოტანილი განჩინების კანონიერებაზე. განჩინების ამ მხრივ შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

საჩივრის ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსამართლე 5 თვის მანძილზე ადგენდა ხარვეზს, აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ უფლების სასამართლო წესით დაცვა უზრუნველყოფილია ყოველი ადამიანისათვის. სარჩელის აღძვრის შესაძლებლობა სუბიექტური უფლების განხორციელების საშუალებაა, რომელიც იცავს უფლებას გაქარწყლებისგან. პირის მიერ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება რა თქმა უნდა უპირობოდ არ გულისხმობს დარღვეული ან სადაოდ ქცეული უფლების დაცვას. ნებისმიერი სარჩელი, რომლითაც პირი მიმართავს სასამართლოს უნდა აკმაყოფილებდეს ფორმალური და მატერიალური დასაშვებობის წინაპირობებს. სარჩელში ნათლად, გარკვევით და ამომწურავად უნდა იყოს მითითებული თუ რას მოითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან. რა ფორმის სარჩელი უნდა იქნას აღძრული, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზნის მიღწევა სურს მოსარჩელეს. იგი თავად განსაზღვრავს სარჩელის შინაარსსა და მოცულობას, სასამართლო კი შეზღუდულია მოცემული სარჩელით და საქმეს იხილავს ამ სარჩელის ფარგლებში. შესაბამისად, სარჩელზე ხარვეზის დადგენა მიზნად ისახავს მხოლოდ

სასარჩელო მოთხოვნის ნათლად ჩამოყალიბებას და იმის დადგენას რა მიზნის მიღწევას ემსახურება სარჩელი.

აქვე, აღსანიშნავია, რომ სარჩელი სასამართლოში შევიდა 29 აგვისტოს, ხოლო საქმეზე შეწყდა სამართალწარმოება ხარვეზის შეუვსებლობის გამო 23 ოქტომბერს. ამასთან, ხარვეზი დადგენილი იქნა 2 ჯერ, ხოლო საბოლოო განჩინების მიღებამდე საქმე სასამართლოში იმყოფებოდა 1 თვე და 23 დღე. შესაბამისად, მოსამართლე უფლებამოსილი იყო სარჩელზე რამდენჯერმე დაედგინა ხარვეზი, რათა დაზუსტებულიყო ის ფარგლები, რა ფარგლებშიც მოსარჩელებს სურდათ დავა.

რაც შეეხება 25 სექტემბრის განჩინების შტრიხკოდით სასამართლო სხვა აქტის მოძებნის შესაძლებლობას, აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს მიერ მიღებული აქტები იტვირთება საქმისწარმოების სისტემაში მისამართზე www.info.court.ge აღნიშნული სისტემა იძლევა საბოლოო დოკუმენტის საქმის შტრიხკოდით მოძებნის შესაძლებლობას. 2017 წლის 25 სექტემბრის განჩინების შტრიხკოდით -- მხოლოდ 1 გადაწყვეტილების მოძიებაა შესაძლებელი.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით, სრული

შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №208/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი